მაია კაკაურიძე, ქ. თბილისის N166 საჯარო სკოლა

ჩემი ფინანსები - ჩემი მომავალი!

საფეხური: საბაზო საფეხური **კლასი:** მე-7 კლასი

ინტერდისციპლინური სწავლების მრავალი ფორმა და მრავალი დონე არსებობს. ერთი მხრივ, სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს ინტერდისციპლინური გუნდის მიდგომა, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა საგნის/სფეროს წარმომადგენელი მასწავლებლები ერთ ჯგუფში ერთიანდებიან და მოსწავლეთა კონკრეტულ კლასს კონკრეტულ საკითხს/თემას ასწავლიან. ის–ში უფრო გავრცელებულია ე. წ. თემატური ერთეულის მიდგომა, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთ თემას შეისწავლიან ერთზე მეტი საგნის/დისციპლინის შინაარსის ფარგლებში. ის ერთ–ერთი გავრცელებული ფორმაა კურიკულუმის ინტეგრაცია, როცა ხდება მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის მიზნით კურიკულუმის ერთობლივი დაგეგმვა. ის 4 მთავარი კომპონენტით ხასიათდება:

- გამოცდილებების ინტეგრაცია
- სოციალური ინტეგრაცია
- ცოდნის ინტეგრაცია
- ინტეგრაცია, როგორც კურიკულუმის დიზაინი.

თემატური სწავლების ღირსებებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი შეიძლება გამოიყოს: მასწავლებლებისა და მოსწავლეების (ასევე მშობლების) ენთუზიაზმი, ეხმარება მასწავლებელს უკეთ გამოიყენოს სწავლების დრო და სიღრმისეულად შეასწავლოს საკითხი განსხვავებული სასწავლო რესურსების პერსპექტივიდან და მათი საშუალებით. კიდევ ერთ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასწავლებელს შეუძლია დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება და სწავლების მორგება მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებზე.

მე-7 კლასში საგნები გავაერთიანე ფინანსური საკითხების ირგვლივ. ცენტრალურ საგნად ავირჩიე“ მოქალაქეობა“, ხოლო მიმაგრებული საგნები ეხმარება მოსწავლეებს სიღრმისეულად გაიაზრონ ძირითად საგანში შესასწავლი საკითხები და შეძლონ გამოიყენონ ყოფა-ცხოვრებაში არსებულ ფუნქციურ სიტუაციებში.

საგაზო საფეხური	
კლასი	VII კლასი
ფინანსური განათლება სკოლაში	ჩემი ფინანსები - ჩემი მომავალი
ცენტრალური საგანი	მოქალაქეობა
მიმაგრებული საგნები	ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ინგლისური ენა; ისტორია; ფიზიკა; ბიოლოგია; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თემატური სწავლების მიზანი:

მოსწავლეებს დაეხმაროს დაინახონ საგანთა შორის კავშირი და შექმნან მთლიანი სურათი შესწავლილი თემის ირგვლივ

მოსწავლეებმა შეძლონ თემის სიღრმისეული შესწავლა და მიღებული ცოდნის რეალურ სიტუაციასთან დაკავშირება

გააძლიეროს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობა

შესასწავლი საკითხები:

- ფული;
- დაზოგვა;
- პირადი ფინანსების მართვა;
- ქველმოქმედება;
- ვალუტა და გაცვლითი კურსი.

საკითხების შესწავლის მიზანი:

- მოსწავლეს აუმაღლდეს ცნობიერება ფინანსური საკითხის/საკითხების შესახებ;
- მოსწავლეს განუვითარდეს კრიტიკული, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კომუნიკაციის, თვითრეგულირებისა და თვითაქტუალიზაციის უნარები;
- მოსწავლეს აუმაღლდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა;
- მოსწავლემ შეძლოს ცოდნის გამოყენება შესაბამის ფუნქციურ სიტუაციაში.

თემატური ბლოკი: ინდივიდი და საზოგადოება

ცნებები **სოციალიზაცია –** მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები **ინიციატივა –** დაგეგმვა, პროფესია, ფინანსები **მდგრადი განვითარება –** სამოქალაქო უსაფრთხოება	
საკვანძო შეკითხვა	**მკვიდრი წარმოდგენა**
საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს: • რატომ არის საჭირო ფული? • როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს? • რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი? • რა ახდენს გავლენას ხარჯვით გადაწყვეტილებებზე? • როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად? • რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა? • როგორ გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები ჩვენი თემის სასარგებლოდ? სხვის დასახმარებლად?	**მკვიდრი წარმოდგენები** • ჩვენი სურვილები უსასრულოა, არსებული რესურსი კი - სასრული; • ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები; • ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა, და არა დიდი შემოსავლები; • ჩვენს ხარჯვით ქცევებზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს, მათ შორის, მეგობრები, გარემო, რეკლამა.

საკითხების დამუშავება მიმდინარეობს სასწავლო წლის ერთი სემესტრის განმავლობაში. **თემატური სწავლების ნაბიჯები/აქტივობები:**

1. საგნის მასწავლებლები მუშაობენ კურიკულუმებზე, ადგენენ სემესტრულ გეგმას. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ საკითხები განხილული იყოს ერთ პერიოდში;
2. სასურველია, მასწავლებლებმა, სასწავლო წლის დაწყებამდე, დირექციასთან შეთანხმებით სამუშაო კვირის ერთ დღეს საგაკვეთილო პროცესი მოიცავდეს თემატური სწავლების ირგვლივ გაერთიანებული რვა საგნიდან ექვს საგანს, რათა დასკვნით ეტაპზე პრეზენტაცია წარიმართოს ამ კონკრეტულ დღეს და ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა გააკეთოს პრეზენტაცია (45 წუთში ეს შეუძლებელია);
3. სწავლების დაწყებამდე იქნება შეხვედრა კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან (როცა საგაკვეთილო ცხრილში გაწერია თემატურ სწავლებაში გაერთიანებული საგნები). შეხვედრის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური მუშაობა - მოსწავლეები თავიანთ მშობლებთან ერთად ნაწილდებიან ჯგუფებში. ჯგუფებს ვურიგებთ ამონარიდებს (მნიშვნელოვან საკვანძო იდეებს) წიგნიდან „მდიდარი მამა, ღარიბი მამა“-; რობერტ კიოსაკი; 2021წ. ვთხოვთ, იმსჯელონ, რომელი დებულებაა მათთვის მისაღები. იმართება დისკუსია, რამდენად მნიშვნელოვანია ფინანსური აზროვნების განვითარება სკოლაში. „ბავშვმა შეიძლება ფრიადზე დაამთავროს სკოლა, მაგრამ ღარიბი ადამიანის ფინანსური აზროვნება ჰქონდეს“ (ამონარიდი ამავე წიგნიდან). სწორედ ამ პროვოცირების შემდგომ გავაცნობთ, რა მიზნით ვახორციელებთ თემატურ სწავლებას ფინანსური წიგნიერების მიმართულებით.

4. მოსწავლეებს სამუშაო რვეული ურიგდება ინდივიდუალურად და კონკრეტულ დავალებაზე მუშაობენ საგნის მასწავლებლების მითითებით შესაბამისი საკითხების შესწავლისას; სამუშაო რვეულში მოცემული დავალებები მრავალფეროვანია, გათვლილია ნებისმიერი მზაობის მოსწავლეებისათვის, მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული და მათი ერთობა კი ქმნის მყარ და დინამიკურ ცოდნას. დავალებების პირობები, შინაარსი მოსწავლეებში იწვევს შინაგანი ძალების გააქტიურებას, ზრდის მოტივაციას, რაც განაპირობებს მათ მაღალ ჩართულობას თემატური სწავლების განხორციელების პროცესში. ეს ყველაფერი კი დაეხმარება მათ რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა ფინანსურ საკითხებში და მომავალი პროფესიის არჩევაშიც.
5. სწავლების დასრულებისას მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. პრეზენტაციაში უპასუხებენ შემდეგ კითხვებს:
   - რა გავიგე ფინანსური განათლების შესახებ?
   - რატომ არის საჭირო, სკოლაში სწავლის პერიოდში მივიღო ფინანსური განათლება?
   - დავალება, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა? რატომ?
   - რას ვისწავლიდი?

მუხლი 7. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნები

1. ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა	• პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება; • პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევა.
კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	• ქსელური ძიება; • ინფორმაციის გავრცელება; • ელექტრონული რესურსის მოძიება და გამოყენება სასწავლო პროცესში.

2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ასევე გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:
ვ) ფინანსური წიგნიერება.

განსახილველი საკითხი/თემა საგნების მიხედვით; სასწავლო რესურსები.

№	საგანი	ფინანსური განათლების საკითხები	თემა/საკითხი	რესურსი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	ქველმოქმედება	**თემა**: ცოდნა ანთებულ სანთელს გავს. **საკითხი**: § 1. ისმინე, სწავლის მძებნელო! **ტექსტის დამუშავება,** ილია ჭავჭავაძე - სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურვეო სკოლის გახსნაზე	სახელმძღვანელო გვ. 13 -16 ილია წინამძღვრიშვილი
		ფული-ფუნქცია	ეზოპეს იგავი - „ძუნწი და ოქრო“ სულხან-საბა ორბელიანი - „ძუნწი და ოქრო“	მოქალაქეობის სახელმძღვანელო; გვ. 126 იგავი ტალანტებზე
2	მათემატიკა	პირადი ფინანსების მართვა	ნატურალური რიცხვები, ნატურალური რიცხვების გაყოფა, გაყოფადობის ნიშნები	სახელმძღვანელო გვ.7-34
		ვალუტა და გაცვლითი კურსი	დადებითი რაციონალური რიცხვები	გვ. 101 - 108
3	ინგლისური ენა	ვალუტა და გაცვლითი კურსი	ლექსიკური მარაგის გამდიდრება დიალოგის დაწერა.	
4	ისტორია	ფული	როგორი იყო პირველი ფული და რით განსხვავდება ის თანამედროვე ფულისგან?	სახელმძღვანელო გვ. 62 ფული საქართველოში - საქართველოს ეროვნული ბანკი 2000
5	მოქალაქეობა	ფული დაზოგვა პირადი ფინანსების მართვა ვალუტა და გაცვლითი კურსი	**ეკონომიკური ურთიერთობები თემში**: ✓ ფული - მისი თვისებები და ფუნქციები; ✓ ბაზარი და ფასი; ✓ ბიუჯეტი - შემოსავალი და ხარჯები; ✓ დაზოგვა და ქველმოქმედება.	სახელმძღვანელო; გვ. 122 -დან145-ის ჩათვლით
6	ფიზიკა	პირადი ფინანსების მართვა	ნივთიერების სიმკვრივე; ვისწავლოთ ამოცანების ამოხსნა	სახელმძღვანელო; გვ. 40 – 47;
7	ბიოლოგია	ქველმოქმედება	სოკოს აგებულება; ქუდიანი სოკოს გამრავლება, სასიცოცხლო ციკლი, მნიშვნელობა	სახელმძღვანელო; გვ. 79

8	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	ფული	ფულის მუზეუმის შექმნა	

გამოყენებული ლიტერატურა (როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის):

1. სახელმძღვანელო; ქართული ლიტერატურა 7; ავტორები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი; გამომცემლობა: სწავლანი; 2022 წელი
2. სახელმძღვანელო; მათემატიკა VII კლასი; ავტორები: გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე, ია, მებონია, ლამარა ქურჩიშვილი; გამომცემლობა: ინტელექტი; 2019 წელი
3. სახელმძღვანელო; ფიზიკა 7; მოსწავლის წიგნი; ავტორები: რუსუდან ქანთარია, ლეილა ჩიჩუა; გამომცემლობა: კლიო, მერიდიანი; 2019 წელი
4. სახელმძღვანელო; ბიოლოგია 7; მოსწავლის წიგნი; ავტორები: რუსუდან ახვლედიანი, ნატო შათირიშვილი; გამომცემლობა: სულაკაური; 2019წ.
5. სახელმძღვანელო; მოქალაქეობა 7; მოსწავლის წიგნი; ავტორები: გ. ნოზაძე, მ. ბოჭორიშვილი, მ. ბაქრაძე, დ. ლეჟავა, მ. მიქაძე, ე. ფუტკარაძე, ნ. მიმინოშვილი, მ. მკალავიშვილი; გამომცემლობა: დიოგენე; 2022წ.
6. რობერტ კიოსაკი - „მდიდარი მამა, ღარიბი მამა“; 2021წ
7. https://mastsavlebeli.ge/?p=26892 - ინტერდისწიპლინური სწავლება; ნინო ჭიაბრიშვილი;
8. ფინანსები - მოქალაქეობის გაკვეთილზე აქტივობები და დავალებები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართული ენა და ლიტერატურა

2. თემა: სწავლა-აღზრდა

სწავლა-აღზრდა	
საკითხავი ლიტერატურა სავალდებულო ნაწარმოებები • ილია ჭავჭავაძე, „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით) არასავალდებულო ტექსტები *შეირჩევა თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.*	
ცნებები	**საკვანძო შეკითხვები**
ტექსტი, ტექსტის ტიპები და ჟანრები კომპოზიციური ელემენტები სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტები ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები ტექსტის კონტექსტი	• როგორ ხდება პიროვნების ჩამოყალიბება/ფორმირება? რა ფაქტორები ახდენს გავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე/ფორმირებაზე? • რატომ და როგორ/ რითი სწავლობს ადამიანი?

მიმართებები ტექსტებს შორის (ინტერტექსტუალობა) ტექსტის სიტუაციური მახასიათებლები (საკომუნიკაციო სიტუაცია) სტრატეგიები: ზეპირმეტყველების სტრატეგიები კითხვის სტრატეგიები წერის სტრატეგიები მეტაკოგნიტური სტრატეგიები გრამატიკის საკითხები (საჭიროებისამებრ, კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად)	• როგორ და რამდენად უწყობს ხელს სწავლა-განათლება ადამიანის პიროვნულ ზრდა-განვითარებას? • რას გულისხმობს კარგი სწავლება/კარგი გაკვეთილი? რის სწავლა შეუძლიათ სხვებს ჩემგან? • როგორ აღწევენ ადამიანები ზრდასრულობას/პიროვნულ სიმწიფეს - საფეხურებრივად, თანდათანობით, თუ ერთბაშად, უცებ? (მთავრდება ეს პროცესი თუ მუდმივად გრძელდება?) • რა ფაქტორები ზემოქმედებს ადამიანის ზრდასრულად ქცევის პროცესზე? რამდენად და როგორ ზემოქმედებს ოჯახი, სოციალური ნორმები? • რა გავლენას ახდენს ბავშვობის გაკვეთილები ჩვენს აწმყოსა და მომავალზე? • რა და რატომ შეიცვალა/არ შეიცვალა სწავლა-სწავლებაში დროთა განმავლობაში? • რამდენად უპასუხებს ტექსტი კითხვებს, რომლებიც მაქვს სწავლასთან დაკავშირებით? • რას მასწავლის სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის გაცნობა? (/რამდენად მეხმარება სწავლაში?) • რა მიზნით და რამდენად ეფექტურად იყენებს ავტორი ენობრივ საშუალებებს?

მკვიდრი წარმოდგენები:

- სწავლა-აღზრდაზე შექმნილია სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტები.
- ტექსტებში შესაძლებელია ასახული იყოს სწავლების განსხვავებული ტრადიციები და რეალიები, განსხვავებული წარმოდგენები სწავლა-აღზრდაზე, ადამიანის ზრდის პროცესზე.
- მწერლები იყენებენ ტექსტის ელემენტებს, ენობრივ საშუალებებს, რათა გამოხატონ თავიანთი შეხედულებები სწავლა-აღზრდაზე, გაგვიცოცხლონ სწავლასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება, კონკრეტული რეალიები; მოახდინონ გავლენა მკითხველებზე, დაარწმუნონ ისინი.
- სწავლა-აღზრდაზე შექმნილი ლიტერატურის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა.
- იმისათვის, რომ გამოვხატო ჩემი მოსაზრებები სწავლა-აღზრდაზე, შემიძლია გამოვიყენო საკუთარი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ლიტერატურის, ცნებებისა და საკითხების ცოდნა.

ინგლისური ენა

თემები VII კლასისთვის
1. **ყოველდღიური ყოფა** (დღის რეჟიმი, ყოველდღიური საქმიანობები - ჭამა, ჩაცმა, მეცადინეობა, სპორტზე/მუსიკაზე სიარული, ტრანსპორტით მგზავრობა, საყიდლებზე წასვლა და სხვ.); ***პრიორიტეტული ენობრივი მასალა ტექსტის ტიპები:*** ***Cooking is a great fun*** • ტექსტის ტიპები/Text types: recipe, *instructions;* • ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები/Language functions *(giving instructions*): *A - Oh, How delicious! How can I cook such delicious salad?* *B - Cut vegetables into small pieces, roast them in olive oil, and then garnish with fresh herbs.* • გრამატიკა/Grammar: *countable/uncountable nouns, quantifiers, plural;* ლექსიკა/Vocabulary: *cook, recipe, cooking book, life skill, cut, slice, stir, ingredients.*

მათემატიკა

თემა: რიცხვები და მათი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და მეცნიერების სხვა დარგებში		
ზოგადი ცნებები	**ცნებები**	**საკითხები**
რიცხვები, რიცხვითი გამოსახულებები	მთელი რიცხვი, წილადი, ათწილადი, რაციონალური რიცხვი, რიცხვის მოდული, პროპორცია, რიცხვის ნატურალურმაჩვენებლიანი ხარისხი, სიდიდის ზომა, ზომის ერთეული, მასშტაბი	• მთელი რიცხვები და არითმეტიკული მოქმედებები მთელ რიცხვებზე. რიცხვის მოდული. რიცხვის მოდულის გეომეტრიული აზრი; • რაციონალური რიცხვების წარმოდგენა წილადებისა და ათწილადების სახით (მათ შორის, უსასრულო პერიოდული ათწილადის სახით). რაციონალური რიცხვების შედარება. რაციონალურ რიცხვებზე არითმეტიკული მოქმედებების შედეგის შეფასება. რაციონალური რიცხვის დაყოფა პროპორციულ ნაწილებად; • პროცენტი. კავშირი სიდიდის პროცენტსა და ამ სიდიდის ნაწილს შორის. რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით; • რაციონალური რიცხვის ნატურალურმაჩვენებლიანი ხარისხი; • ზომის ერთეულები, კავშირები ზომის ერთეულებს შორის და ზომის ერთეულების გამოყენება: მასშტაბი;

		ერთი სისტემის ერთეულის სხვა სისტემის შესაბამისი ერთეულით გამოსახვა; • ფასდაკლება/ფასის გაზრდა (თანმიმდევრობითი და ერთჯერადი ფასდაკლებების/ფასების ზრდის ერთმანეთთან შედარება) და მარტივი ხარჯთაღრიცხვა.

კითხვები:

- წილადების გაყოფისას რატომ იძლევა სწორ შედეგს გამყოფის შებრუნებისა და შემდგომ გამრავლების თანმიმდევრობა?
- როგორ ახსნით, რომ ერთი რიცხვის მეორეზე გაყოფის შედეგად შესაძლებელია მიიღოთ გასაყოფზე დიდი რიცხვი?
- რითია სასარგებლო ნატურალურმაჩვენებლიანი ხარისხის თვისებების ცოდნა მათემატიკური და რეალური ვითარებიდან მომდინარე ამოცანების ამოხსნისას?
- როგორ გამოვიყენებ რაციონალური რიცხვების თვისებებს ფასდაკლებებთან ან პირადი ხარჯთაღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნისას?

როგორ არის დაკავშირებული რაციონალური რიცხვები შენადნობებსა და ხსნარებში შემავალი სხვადასხვა ნივთიერების კონცენტრაციასთან?

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- რაციონალური რიცხვების წაკითხვა, გამოსახვა, შედარება და დალაგება პოზიციური სისტემის გამოყენებით; რიცხვების თვისებების გამოკვლევა პოზიციური სისტემის გამოყენებით **(მათ.საბ.3,4);**
- რაციონალურ რიცხვებზე მოქმედებების სხვადასხვა ხერხით შესრულება **(მათ.საბ.1,2);**
- რაციონალურ რიცხვებზე მოქმედებათა შედეგის შეფასება **(მათ.საბ.1,2);**

ზომის სხვადასხვა ერთეულის ერთმანეთთან დაკავშირება და მათი გამოყენება ამოცანების ამოხსნისას **(მათ.საბ.7).**

ისტორია

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები:

საზოგადოება - სოციალური ფენა, ეკონომიკა, კულტურა; რელიგია; მსოფლმხედველობა; ეთნოსი/ერი; ,,კულტურული სხვა'';

ისტორიული მოვლენა/პროცესი - პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ანტიკურ ხანაში? როგორი იყო მათი საზოგადოება?
- რატომ დააარსეს ბერძნებმა ახალშენები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე?
- რატომ იჭრებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულწარწერიანი კოლხური თეთრი ?
- რატომ არის საქართველოში მრავლად აღმოჩენილი რომაული პერიოდის არქეოლოგიური არტეფაქტები?

მკვიდრი წარმოდგენები

- კოლხეთში მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მონეტა - კოლხური თეთრი იჭრებოდა;

მოქალაქეობა

თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში

საკითხები

1. ფული;
2. შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (პირადი ფინანსების მართვა);
3. დაზოგვა და ქველმოქმედება.

ცნებები

სოციალიზაცია – მე, პიროვნება, საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები

ინიციატივა – დაგეგმვა, ფინანსები

მდგრადი განვითარება – სამოქალაქო უსაფრთხოება

საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის სწავლების პროცესში უნდა დაფიქრდეს:

- რატომ არის საჭირო ფული?
- როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს?
- რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი?
- რა ახდენს გავლენას ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?
- როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა?
- როგორ გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები ჩვენი თემის სასარგებლოდ? სხვის დასახმარებლად?

მკვიდრი წარმოდგენები

- ჩვენი სურვილები უსასრულოა, არსებული რესურსი კი - სასრული;
- ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები;
- ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა, და არა დიდი შემოსავლები;
- ჩვენს ხარჯვით ქცევებზე გავლენას ბევრი ფაქტორი ახდენს, მათ შორის, მეგობრები, გარემო, რეკლამა;

ფიზიკა

თემა: ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

მატერია

- აგრეგატული მდგომარეობის დაკავშირება ნივთიერების ატომურ-მოლეკულურ აგებულებასთან **(ფიზ.საბ.1,2,3);**

მოძრაობა და ცვლილებები

- ნივთიერების აგებულებაზე, მის გარდაქმნაზე და ფუნქციაზე არგუმენტირებული მსჯელობა **(ფიზ.საბ.1,2,3);**
- დიფუზიის როლის შეფასება ბუნებასა და ყოფაცხოვრებაში **(ფიზ.საბ.1,2,3,10,11);**

ენერგია და ურთიერთქმედება

- ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობასა და მასში მიმდინარე ენერგიის ცვლილებაზე არგუმენტირებული მსჯელობა **(ფიზ.საბ.1,2,3);**

კვლევა

- სიმკვრივის ექსპერიმენტულად განსაზღვრა **(ფიზ.საბ.4,5,6,7,9);**
- დიფუზიის მოვლენის სადემონსტრაციო მოდელის შექმნა და პრობლემაზე დაფუძნებული ამოცანების გადაჭრა **(ფიზ.საბ.4,5,6,7,8,9).**

ბიოლოგია

თემა: სოკოები

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

სტრუქტურა და ფუნქცია

- სხვადასხვა სახის სოკოს აგებულების და ფუნქციის დახასიათება, მსგავსება-განსხვავებების დადგენა **(ბიოლ.საბ.1,2,3,5,6, 9,10);**

სასიცოცხლო თვისება

- სხვადასხვა სახის სოკოს სასიცოცხლო თვისებების დახასიათება და მათში მიმდინარე ენერგიისა და ნივთიერებების გარდაქმნებზე არგუმენტირებული მსჯელობა **(ბიოლ.საბ.1,2,3,5,6, 9,10);**

ბიომრავალფეროვნება

- ბუნებაში სოკოების მრავალფეროვნების შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრება **(ბიოლ.საბ.1,2,3,5,6, 9,10)**;

ჯანმრთელობა და დაავადება

- სოკოების დაავადებების ერთმანეთისაგან განსხვავება; დაავადებების პრევენციის (ჰიგიენა, ვაქცინაცია) შესახებ მსჯელობა **(ბიოლ.საბ.სტ.8, 11, 12);**
- ბუნებასა და ადამიანისათვის ბაქტერიების მნიშვნელობის დასაბუთება **(ბიოლ.საბ.4, 10,11,12);**

კვლევა

- კვლევის საფუძველზე სოკოების აგებულების და სასიცოცხლო თვისებების მიხედვით შედარება **(ბიოლ.საბ.1,2,3,5,6,7,8,9,10);**
- სოკოების მიღებული ცოდნის დაკავშირება სხვადასხვა პროფესიასთან/საქმიანობის სფეროსთან (ჯანმრთელობის დაცვა, გარემოს დაცვა, კვების ტექნოლოგია, ვირუსოლოგია, ბაქტერიოლოგია, პარაზიტოლოგია, მიკრობიოლოგია) **(ბიოლ.საბ.11, 12,13).**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თემატური ბლოკი: **საზოგადოება და ხელოვნება**

სასწავლო თემა: **ხელოვნება და ყოველდღიურობა**
საკვანძო შეკითხვები • შეიძლება თუ არა ჩემ მიერ შექმნილი ნამუშევარი გამოვიყენო ყოველდღიურ ცხოვრებაში?
შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: • შექმნას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები, აირჩიოს და გამოიყენოს შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა **(ს.გ.საბ.1,2);** • რამდენიმე მაგალითის საფუძველზე გააანალიზოს ყოველდღიური საგნების, ნივთების ესთეტიკური მხარე და იმსჯელოს, რა ფაქტორებს შეიძლებოდა მოეხდინა გავლენა მათზე **(ს.გ.საბ.3).**

შეფასება

შეფასების ტიპი: განმავითარებელი შეფასება

მოსწავლეს უნდა შეეძლოს,

თემატური სწავლებისას დაფიქრდეს, გაიაზროს:

- რა არის ფული? რატომ არის საჭირო ფული?;
- როგორ შევაფასოთ საკუთარი შესაძლებლობები? როგორ ვაკეთებთ არჩევანს?
- რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი?
- რა ახდენს გავლენას ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?
- როგორ გავარჩიოთ საჭიროება და სურვილი?
- როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა?
- როგორ გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები ჩვენი თემის სასარგებლოდ? სხვის დასახმარებლად?
- ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა, და არა დიდი შემოსავლები;
- ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები.

სოლოს დონეები	სამუშაოს შესრულება განმარტება თემატური სწავლების ფარგლებში	
 აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი /არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების / სხვა მსგავს მაგალითებთან შედარებისსაშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	<u>მოდელირება</u> მოსწავლეს შეუძლია რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის შესაბამისი მოდელის შექმნა. <u>პრობლემის გადაჭრა</u> მოსწავლეს შეუძლია ნასწავლის დაკავშირება ცხოვრებასთან და სხვა დისციპლინებთან <u>პროცედურული:</u> მუშაობს დამოუკიდებლად, აფართოებს ცოდნას, ცდილობს უკეთესი გზების ძიებას, სტრატეგიების შემუშავებას . <u>ფაქტობრივი:</u> შეუძლია იდეის განზოგადება ცოდნის ტრანსფერი სხვა დისციპლინებთან.	
 მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	<u>პროცედურული:</u> ასრულებს სამუშაოს დამოუკიდებლად და გაც ნობიერებულად, შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, შეცდომ ის გამოსწორება <u>ფაქტობრივი:</u> პრობლემაზე მუშაობის დროს შეუძლია მიღებუ ლი ცოდნის (ნასწავლის) დაკავშირება და გამოყენება მთლიანი პრობლემის გადასაჭრელად, ასევე მსჯელობით დ ასაბუთება.	
 მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამ დენიმე,ერთმანეთთან დაუკავშირე ბელი, უსისტემო ასოციაცია /წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	<u>პროცედურული:</u> ასრულებს მოქმედებებს დამოუკიდებლად თუმცა ჯერ არ აქვს საკითხი ბოლომდე გააზრებული, ვერ იაზრებს, რატომ და როგორ/როდის უშვებს შეცდომებს <u>ფაქტობრივი:</u> საკითხთან მიმართებით ფლობს რამდენიმე შესაბამის იდეას /ინფორმაციას, აქვს უსისტემო ცოდნა. (იცის ცალკეული წესები, ფაქტები, თუმცა ვერ აკავშირებს ერთმანეთთან და პრობლემასთან, რომ მიიღოს საბოლოო შედეგი)	
 უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	<u>პროცედურული:</u> ასრულებს პროცედურას მხოლოდ მითით ების შემდეგ ან სხვისი მოქმედების გამეორების შედეგად <u>ფაქტობრივი:</u> საკითხთან მიმართებით ფლობს ერთ შესაბამის იდეას, ინფორმაციას, ცნებას	

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	ვერ იწყებს მუშაობას	

მოსწავლის თვითშეფასება

აღრიცხვის ფურცელი

მოსწავლის გვარი; სახელი ----------

ჩემი ფინანსები - ჩემი მომავალი!

აღრიცხვის ფურცელი ურიგდება ინდივიდუალურად მოსწავლებლებს. ისინი ავსებენ თემატური სწავლების განმავლობაში და ტოვებენ მასწავლებელთან, რათა მასწავლებელმა რეფლექსის ანალიზისას გაიგოს მოსწავლემ რა ისწავლა და რა ვერ გაიგო. ანალიზს აკეთებს კლასის (თემატურ სწავლებაში ჩართული მასწავლებლები) მასწავლებლები ერთად, რადგან შეიძლება ერთი საგნის ფარგლებში რაღაც ვერ გაიგო, თუმცა საკითხის განხილვა სხვა საგნის ფარგლებში მოხდეს.

თარიღი	**დავალების დასახელება**				**რეფლექსია** **რა ვისწავლე?** **რა ვერ გავიგე?**